ყოველკვირეული დაიჯესტი კიბერუსაფრთხოებასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში

10-23 ივლისი, 2023

CRC კიბერმედეგობის ცენტრი
CYBER RESILIENCE CENTER

ამერიკული ჯანდაცვის კომპანიაზე კიბერთავდასხმის შედეგად 11 მილიონი პაციენტის პერსონალური მონაცემები გამჟღავნდა

ამერიკულმა ჯანდაცვის კომპანიამ, HCA-მა, რომელიც ხელმძღვანელობს ასობით საავადმყოფოს დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, 2023 წლის 10 ივლისს, 11 მილიონი პაციენტის პერსონალური ინფორმაციის გაჟონვაზე განცხადება გააკეთა. მათი თქმით, გარე საცავებზე თავდასხმის მეშვეობით, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ადგილობრივი კიბერ კრიმინალური დაჯგუფების მიერ, პერსონალური მონაცემები სხვადასხვა ონლაინ ფორუმზე გამოქვეყნდა. შედეგად, 11 მილიონი პაციენტის პირადი მონაცემები - სახელები, მისამართები, საკონტაქტო ინფორმაცია - ყველასთვის საჯაროდ ცნობილი გახდა. საპასუხოდ, კომპანიამ მომხმარებლებისთვის სპეციალური ვებგვერდი შექმნა, სადაც დაზარალებულებს საშუალება აქვთ გაარკვიონ, მოიპარეს თუ არა მათი პერსონალური მონაცემები. HCA, საჭიროების შემთხვევაში, მზად არის თითოეული დაზარალებული მომხმარებელი საკრედიტო მონიტორინგის სერვისებით უზრუნველყოს.

10.07.2023

Microsoft-ის მიერ წარმატებულად მოგერიებული კიბერშეტევა

2023 წლის 12 ივლისს, Microsoft-მა, წარმატებით მოიგერია კიბერშეტევა, რომელიც განხორციელდა ჩინეთის APT ჯგუფის მიერ, ასევე ცნობილი, როგორც Storm-0558. კიბერთავდასხმა, რომელიც აქტიურად ხორციელდებოდა 2023 წლის 15 მაისიდან 16 ივნისის ჩათვლით, მიზნად ისახავდა დასავლეთ ევროპის სამთავრობო უწყებებისა და ორგანიზაციებში შენახული კონფიდენციალური ინფორმაციის მოპარვას ელექტრონული ფოსტის ანგარიშებზე წვდომის მოპოვების გზით. მსგავსი ბრალდების მიუხედავად, ჩინეთმა უარყო თავდასხმასთან რაიმე ტიპის კავშირი.

12.07.2023

კიდევ ერთი კრიპტო თაღლითობა: ნიუ-იორკის კიდევ ერთი გახსნილი საქმე

გასულ კვირას, ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის ფედერალურმა სასამართლომ, კრიპტოვალუტის სავარაუდო თაღლითობის კიდევ ერთი საქმე გახსნა. საქმე ეხება მამა-შვილს, რომლებსაც ბრალად ედებათ საშუალოდ 10 მილიონი დოლარის კრიპტო სახსრების მოპარვა დაახლოებით 20 ადამიანისგან ყალბი საინვესტიციო სქემების შეთავაზების გზით. დამნაშავეები პოტენციურ კლიენტებს სთავაზობდნენ საბროკერო მომსახურებას დიდი რაოდენობით კრიპტოვალუტისთვის და, ამავდროულად, მარკეტინგულ მომსახურებას მცირე ბიზნესისთვის საკმაოდ დაბალ ფასებში. შვილმა დაკავების შემდგომ მალევე აღიარა დანაშაული. მამა-შვილს, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 30 წლიანი თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

12.07.2023

ხელოვნური ინტელექტი, სახელწოდებით Bard, წვდომის არეალს აფართოებს

13 ივლისის განცხადების მიხედვით, Google-ის ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტი, Bard, აფართოებს წვდომას ევროპასა და ბრაზილიაში მცხოვრები მომხმარებლებისათვის. განახლებული ჩატბოთი მომხმარებლებს სთავაზობს რამდენიმე ახალ ფუნქციას, მათ შორის ისეთ ენებზე წვდომას, როგორებიცაა - არაბული, ჩინური, გერმანული, ჰინდი და ესპანური. მომხმარებლებს ახლა შეუძლიათ 40-ზე მეტ ენაზე ისარგებლონ უფრო პერსონალიზებული პასუხებით.

13.07.2023

ილონ მასკმა კიდევ ერთი AI კომპანიის დაარსება დააანონსა

მილიარდერმა ილონ მასკმა ახალი ხელოვნური ინტელექტის კომპანიის, სახელად xAI, შექმნა დააანონსა, რომლის ერთადერთი მიზანიც "სამყაროს ნამდვილი ბუნების გაგება" იქნება. ამის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში 2023 წლის 12 ივლისს გავრცელდა და საზოგადოების ყურადღება მალევე მიიქცია. ახალი AI-ის შექმნისა და განვითარების პროცესში ისეთმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც დღემდე აქტიურად ხელმძღვანელობენ ხელოვნური ინტელექტის სფეროში მიმდინარე ცნობილი მიღწევების (AlphaStar, AlphaCode, Inception, Minerva, GPT-3.5 და GPT-4.) განვითარებას და, ამავდროულად, მუშაობენ ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა - DeepMind, OpenAI, Google Research, Microsoft Research, Tesla და სხვა.

14.07.2023

სოციალური მედია ქსელი Reddit რუსეთის მიერ 4 მილიონი რუბლის ოდენით დაჯარიმდა

პოპულარულ სოციალური მედიის ქსელი Reddit შეუერთდა იმ კოპმანიების ვრცელ სიას, რომლებიც რუსეთის მიერ დაჯარიმდნენ თავიანთი არმიის შესახებ დისკრედიტაციული შინაარსის მქონე ინფორმაციის გაზიარების გამო. კომპანიას 4 მილიონი რუბლის (43,895 დოლარი) ოდენობის ჯარიმა დაეკისრა რუსეთის არმიის დისკრედიტაციისა და მეორე მსოფლიო ომის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო. რუსეთის მთავრობის მიერ სოციალურ მედიაზე კონტროლის გამკაცრება მიზნად ისახავს პოლიტიკური ნარატივების შეზღუდვას და უკრაინაში რუსეთის მიერ მიმდინარე ომის შესახებ განსხვავებული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ვლინდება დასავლური სოციალური მედიის აპლიკაციების წვდომის შეზღუდვასა და მათ მიმართ დაკისრებულ ჯარიმებში.

19.07.2023